ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 102

19 მარტი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, მიროტაძის (ყოფილი ოჟიოს) ქუჩა №15-ის მიმდებარედ 136 კვ.მ. ს/კ. №01.10.13.033.928 და ქალაქი თბილისი, გიორგი მიროტაძის ქუჩა №3-ის მიმდებარედ, 129 კვ.მ. ს/კ. №01.10.13.033.937) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, მიროტაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.10.13.033.928; №01.10.13.033.937) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მთავრობის 2021 წლის 10 მარტის №21.258.321 განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, მიროტაძის (ყოფილი ოჟიოს) ქ. №15-ის მიმდებარედ 136 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.10.13.033.928) და ქალაქი თბილისი, გიორგი მიროტაძის ქ. №3 ის მიმდებარედ 129 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.10.13.033.937) საპრივატიზებო საფასურის გარეშე, გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მთავრობის მითითებული განკარგულების პირველი პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ, ქვემოთ მითითებულ პირთა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ:

ა) ქ. თბილისში, გიორგი მიროტაძის ქ. №15ბ-ში მდებარე 141 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ. №01.10.13.033.929), - თანამესაკუთრეები: ვილიზია გვაზავა (პ/ნ. 01026016939); თამარ ბაქრაძე (პ/ნ. 01005014545);

ბ) ქ. თბილისში, გიორგი მიროტაძის ქ. №15დ-ში მდებარე 77 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობები (ს/კ.№01.10.13.033.915) - თანამესაკუთრეები: თეიმურაზ კავთელიშვილი (პ/ნ. 01024059596); ილია კავთელიშვილი (პ/ნ. 01024063254); ნანა ჩანადირი (პ/ნ. 01024062104); ნინო ბეკოშვილი (პ/ნ. 01026016822).

გ) ქ. თბილისში, მიროტაძის ქ. №3-ის მომიჯნავედ მდებარე 41 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 და №2 შენობა-ნაგებობები (ს/კ.№01.10.13.033.933) - მესაკუთრე: ნანა ჩანადირი (პ/ნ. 01024062104).

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე